მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი

შესავალი

2021 წლიდან უკვე მკაფიო გახდა ეკონომიკის აღდგენის გაცილებით სწრაფი ტრენდი, ვიდრე ეს მანამდე იყო ნავარაუდევი. COVID-19 პანდემიის შემდგომ, მსოფლიო ეკონომიკას ახასიათებდა V-სებრი ზრდის დინამიკა და კვლავ აღდგენის პერიოდში იყო. თუმცა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ ზრდის პერსპექტივები გაუარესდა და გაურკვევლობა გაიზარდა როგორც უკრაინაში მიმდინარე ომის, ასევე რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გამო.

პანდემიის შემდეგაც მაღალი რჩება გაურკვევლობა გლობალური ეკონომიკური აღდგენისა და საშუალოვადიან პერსპექტივებზე, რადგან გაურკვევლობის ახალ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე მსოფლიოში მინდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები. ეკონომიკის აღდგენის ტემპი განსხვავებულია ქვეყნებისა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით და განპირობებულია, ერთი მხრივ, პანდემიით გამოწვეული დაზიანების ხარისხითა და პოლიტიკის საპასუხო მხარდასაჭერი ღონისძიებებით, მეორე მხრივ კი მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე სურსათზე და ნავთობპროდუქტებზე ფასების მატებითა და რუსეთ-უკრაინის ომიდან მომდინარე გაურკვევლობით. გასათვალისწინებელია რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით გამოწვეული შედეგები.

უკრაინაში არსებულმა ომმა გამოიწვია მსოფლიო ჰუმანიტარული კრიზისი. ამავდროულად, კონფლიქტის შედეგად მიღებული ეკონომიკური ზიანი გამოიწვევს გლობალური ზრდის მნიშვნელოვან შენელებას 2022 წელს და გაზრდის ინფლაციას. საწვავის და სურსათის ფასები სწრაფად გაიზარდა, რაც ყველაზე მეტად მოწყვლად მოსახლეობას აზარალებს დაბალშემოსავლიან ქვეყნებში.

2022 წლის აპრილის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვის მიხედვით საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, 2021 წელს დაფიქსირებული 6.1%-იანი ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 2022-2023 წლების გლობალური ეკონომიკური ზრდა 3.6%-ზე შეაფასა. 2022 წლის აპრილის პროგნოზი 2022 წლის იანვარში გაკეთებულ პროგნოზზე 0.8 პ.პ-ით ნაკლებია. მოლოდინების გადახედვის მიზეზი ომთან დაკავშირებული საკითხები გახდა. სამომავლო ზრდისთვის აუცილებელი იქნება ჰუმანიტარულ კრიზისზე რეაგირებისათვის მრავალმხრივი ძალისხმევა, შემდგომი ეკონომიკური ფრაგმენტაციის თავიდან აცილება, გლობალური ლიკვიდობის შენარჩუნება, ვალის პრობლემების მართვა, კლიმატის ცვლილების დაძლევა და პანდემიის დასრულება.

მსოფლიო ბანკის 2022 წლის ივნისის შეფასების მიხედვით, 2022 წლის იანვარში ნავარაუდევ 4.1%-იან ზრდასთან შედარებით, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა 2022 წლისთვის 2.9%-მდე შემცირდება, ხოლო 2023 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 3.0%-ია. ეს მაჩვენებლები 1.2 და 0.2 პ.პ-ით ნაკლებია 2022 და 2023 წლებში, ვიდრე იანვარში გაკეთებული პროგნოზი. მსოფლიო ბანკი რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკის მკვეთრ შეკუმშვას პროგნოზირებს. მოსალოდნელია, რომ ევროპისა და ცენტრალური აზიის ახლომდებარე ქვეყნებს უფრო საგრძნობი შედეგები ექნებათ. მოწინავე ეკონომიკის ქვეყნებში მოსალოდნელია რომ შემცირდეს მოთხოვნა ბენზინის ფასების ზრდის გამო. ხოლო ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) 2021 წლის დეკემბრის პროგნოზის მიხედვით, მსოფლიო რეალური ეკონომიკური ზრდა 4.5%-ზე იყო ნავარაუდევი, თუმცა 2022 წლის ივნისის მონაცემებით პროგნოზის მოსალოდნელია 3.0%-იანი ზრდა. აღნიშნული გადახედვის მიზეზი რუსეთ-უკრაინის ომი გახდა, რაც განსაკუთრებით ევრო ზონის ეკონომიკურ ზრდაზე მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას.

დიაგრამა 1: განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2022-2023 წლებისთვის



წყარო: IMF, აპრილი 2022

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე პანდემიისა და ომის გავლენა არ არის ერთგვაროვანი. მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც გლობალიზაციისა და მომსახურების დარგების წილი მაღალია, უფრო მაღალი ეკონომიკური კლება დაფიქსირდა ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. სსფ-ის განახლებული პროგნოზით მოწინავე ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 3.3, ხოლო განვითარებადი ქვეყნების 3.8%-ზეა მოსალოდნელი 2022 წლისათვის.

1. ეკონომიკური მიმოხილვა

პანდემიური წლის შემდგომ, 2021 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 10.4% შეადგინა. ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გარკვეულწილად ასევე განპირობებული იყო დაბალი საბაზო ეფექტით, თუმცა 2019 წელთან შედარებით 2021 წელს ეკონომიკა 2.9%-ით გაიზარდა, რის შედეგადაც მოხერხდა 2020 წლის ეკონომიკური ვარდნის მთლიანად კონპენსირება და 2019 წლის დონეზე გასვლა და გადაჭარბება. 2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრის და სრულმაშტაბიანი ომის დაწყების შემდგომ, საქართველოში გაჩნდა რისკები რიგი უარყოფითი შოკების რეალიზებისა, მაგრამ აღნიშნული რისკების მატერიალიზება არ მოხდა, არამედ პირიქით უკრაინიდან, ბელარუსიდან და რუსეთიდან შემოსული ტურისტების/მიგრანტების ფონზე სწრაფი ტემპებით აღდგა ტურიზმის სექტორი და 2022 წლის განმავლობაში ასევე ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, რამაც კერძო მოხმარების და ინვესტიციების ხარჯზე ეკონომიკური ზრდა დააჩქარა. შედეგად, 2022 წლის პირველ რვა თვეში წინასწარი მონაცემებით, ეკონომიკურმა ზრდამ 10.3% შეადგინა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სხვა თანაბარ პირობებში, 2022 წელს მოსალოდნელია 8.5%-იანი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს ეკონომიკისთვის პანდემიამ ერთი მხრივ იმოქმედა ერთობლივი მოთხოვნის მხარეს ტურისტული მომსახურების ექსპორტის კლების, ხოლო მეორე მხრივ, მობილობის შემცირების მიმართულებით. აღნიშნულის გამო შეფერხდა სამომხმარებლო პროდუქტების მიწოდების არხები, რამაც პანდემიურ 2020 და 2021 წლებში ინფლაცია 5.2% და 9.6%-მდე გაზარდა. 2021 წელს არსებული კომუნალური გადასახდების სუბსიდირების საბაზისო ეფექტის გამო 2022 წლის დასაწყისში მოსალოდნელი იყო მაღალი ინფლაცია, მარტიდან კი არსებობდა ინფლაციის შემცირებისა და მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოების მოლოდინი, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად მსოფლიო ბაზრებზე გაიზარდა სურსათისა და ნავთობპროდუქტების ფასები, რამაც საშუალება არ მისცა ინფლაციას მკვეთრად შემცირებულიყო, ამ ყველაფერს თან დაერთო გაზრდილი შიდა მოთხოვნა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო ზრდას შეუწყო ხელი. ინფლაციამ პიკს მაისში მიაღწია 13.3%-იანი მაჩვენებლით, რის შემდგომაც მან შემცირება დაიწყო და კვლავ განაგრძობს კლებას, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ აგვისტოში სეზონურად მოსწორებული თვიური ანუალიზებული ინფლაცია წინა თვესთან შედარებით 4.4 პროცენტი იყო. აღსანიშნავია რომ, წლიურ ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე გაზრდილი ფასებისა (მათ შორის ნავთობის ფასები) და ასევე გაცვლითი კურსის გაუფასურებაზე, რაც ზრდის ინფლაციის მაჩვენებელზე იმპორტული საქონლისა და სურსათის ფასების გავლენას. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ 2022 წლის განმავლობაში საშუალო ინფლაცია იქნება მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღალი და საბაზო სცენარით გაუტოლდება 11.5%-ს, ხოლო 2023 წლის განმავლობაში იგი თანდათან დაუახლოვდება 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს და საშუალოდ 4.7% შეადგენს.

დიაგრამა 2: ინლფაციის დინამიკა, 2022



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდა, 2022



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები 2021 წლის გამყარების ტენდენციას 2022 წელსაც ინარჩუნებენ. კერძოდ, აგვისტოს ნომინალური ეფექტური გაცლითი კურსი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 31.8%-ით გამყარდა, ხოლო წინა თვესთან შედარებით ზრდამ (გამყარებამ) 5.0% შეადგინა. აგვისტოს რეალური ეფექტური გაცვლით კურსის წლიურმა გამყარებამ 20.2% შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით ზრდა 4.6% იყო. გაცვლითი კურსის მეტად გამყარება ნაკლებად მოსალოდნელია, ვინაიდან ორივე მაჩვენებელი თავის საშუალოვადიან ტრენდს საგრძნობლად აღემატება, ასევე ნაკლებად სავარაუდოა გაცვლითი კურსის მკვეთრი გაუფასურება, რაც რუსეთ-უკრაინას შორის ომის საწყის ეტაპზე შეინიშნებოდა. გაცვლით კურსის აღნიშნული დონე და დინამიკა დადებითად აისახება ინფლაციის მაჩვენებელზე.

2020 წლის განმავლობაში პანდემიის შედეგად მნიშვნელოვნად გაუარესდა საგარეო ბალანსი. თუმცა 2021 წლის თებერვლიდან, ექსპორტის წლიური ზრდა დადებითი გახდა და ეს ტენდენცია შენარჩუნებული იქნა მთლიანი წლის განმავლობაში. საგარეო ვაჭრობის მაღალი ზრდა 2022 წელსაც შენარჩუნდა, კერძოდ 2022 წლის იანვარ-აგვისტოში საქონლის ექსპორტის ზრდამ 36.9% შეადგინა, ხოლო ამავე პერიოდში საქონლის იმპორტის 36.5%-იანი ზრდა დაფიქსირდა, შედეგად კი საქონლის სავაჭრო დეფიციტი 36.2%-ით გაიზარდა. აგვისტოში ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 40.4%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტის ზრდამ ამავე პერიოდში 39.7% შეადგინა, შედეგად აგვისტოში სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა 39.3%-ით. საგარე ვაჭრობის ზრდის პარალელურად მნიშვნელოვანი გამოცოცხლება ფიქსირდება ტურიზმის მიმართულებითც. 2021 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,245 მილიონი აშშ დოლარი, რაც 2020 წელთან შედარებით 130%-იანი ზრდაა, ხოლო 2019 წლის შემოსავლების 38%-ს შეადგენს. 2022 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტურიზმი და იანვარ-აგვისტოს მდგომარეობით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2021 წლის იანვარ-აგვისტოს შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 204.3%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 2022 წლის იანვარ-აგვისტოში ტურიზმი 94.6 პროცენტით აღდგა. 2021 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობამ შეადგინა 10.1%, რაც 2020 წელთან შედარებით 2.4 პ.პ-ით გაუმჯობესებაა. საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 2020-2021 წლებში შეადგენდა მშპ-ს 20.1%-ს, ხოლო მომსახურებით ვაჭრობის დადებითი ბალანსი მშპ-ს 0.8%-დან მშპ-ს 3.9%-მდე გაიზარდა. მცირედით გაიზარდა პირდაპირი ტრანსფერები (მეორადი შემოსავალი), მშპ-ს 11.4%-დან 12.3%-მდე, ხოლო პირველადი შემოსავლის ბალანსმა მცირედი გაუარესება განიცადა, მშპ-ს -4.7%-დან მშპ-ს -6.0%-მდე. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება როგორც პირდაპირი (მშპ-ს 4.4%), ასევე - პორტფელური ინვესტიციებით, თუმცა 2021 წელს წმინდა პორტფელური ინვესტიციები უარყოფითი იყო და მშპ-ს -1.7% შეადგინა.

2021 წელს მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითად წყაროდ გვევვლინება სხვა ინვესტიციები (-9.4%), რის ერთ-ერთ მიზეზსაც წარმოადგენს მთავრობის მიერ პანდეემის საწინააღმდეგ საგარეო ვალის აღება. გაუმჯობესებული საგარეო ტენდენციების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მნიშვნელვნად შემცირდება და არსებული პროგნოზით 2022 წლისთვის მშპ-ს 6.9% დაფიქსირდება.

დიაგრამა 4: მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, %-ად მშპ-თან



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2. საშუალოვადიანი პერიოდის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები

უკრაინაში არსებული ომისა და რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში მსოფლიოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მოსალოდნელია 2022 წელს ეკონომიკური აქტივობის შემცირება მთელ მსოფლიოში, რასაც ემატება მაღალი ინფლაცია ნავთობსა და საკვებ პროდუქტებზე. ამასთან, ამ ეტაპზე ეკონომიკის აღდგენასთან დაკავშირებით არსებული გაურკვევლობა არ იძლევა მკაფიო სურათს საშუალოვადიანი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებმა დაიწყეს ეკონომიკის აღდგენა covid-19 პანდემიის შემდეგ.

3. წინა დოკუმენტში იდენტიფიცირებული რისკების ანალიზი

3.1. რისკების მატერიალიზაციის ანალიზი

2022 წლის ბიუჯეტის კანონის თანდართული სცენარების დოკუმენტში წარმოდგენილი შემდეგი რისკ ფაქტორები:

- პანდემიის გამწვავება

2021 წელს რეალიზდა აღნიშნული რისკი, ახალი შტამისა და დამატებით სოციალური დისტანცირების ღონისძიებების შემოღებამ უარყოფით გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზეც.

რაც შეეხება 2022 წელს, აღნიშნული რისკის მატერიალიზებას ადგილი არ ჰქონია. გაუქმდა დასაწებული შეზღუდვები სოციალურ დისტანცირებასთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესებას.

) ტურიზმის გლობალური სენტიმენტების გაუარესება

არ რეალიზდა ტურიზმის გლობალური სენტიმენტების გაუარესებასთან დაკავშირებული რისკი. რისკ-ფაქტორებში აღნიშნული იყო, რომ აღნიშნული შესაძლოა გამოეწვია დეგლობალიზაციურ ტენდენციებსა და ტრადიციული ტურისტული დანიშნულების ზრდას. თუმცა, მიუხედავად პანდემიისა, 2021 წელს ქვეყანაში ვიზიტორების რაოდენობა 22%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 130%-ით (თუმცა, 2019 წლის მდგომარეობასთან შედარებით, შემცირებულია 79 და 62%-ით, შესაბამისად). 2022 წლის მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუმჯობესებულია და პირველ 8 თვეში ვიზიტორების რაოდენობა 204%-ით არის გაზრდილი, ამავე პერიოდში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალიც გაზრდილია 204%-ით. რაც შეეხება ცვლილებას 2019 წლის იგივე პერიოდთან შედარებით, დაფიქსირდა ვიზიტორების რაოდენობაში 54%-იანი აღდგენა დაფიქსირდა, ხოლო შემსოავლები 95%-ით აღდგა.

) გლობალური სავაჭრო ბრუნვის შემცირება

გლობალური სავაჭრო ბრუნვის შემცირების რისკი არ რეალიზდა 2021 წელს. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს სავაჭრო ბრუნვის შემცირების შემდეგ მისი გაუმჯობესება მოხდა მოსალოდნელზე უფრო სწრაფი ტემპებით. ამასთან, გაიზარდა საქართველოს სავაჭრო ბრუნვაც: 2021 წელს საქონლის ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა 27 და 12 პროცენტზე, 2020 და 2019 წლებთან შედარებით, შესაბამისად. ხოლო საქონლის იმპორტი გაზრდილია 25 და 6 პროცენტით, შესაბამისად 2020 და 2019 წლებთან შედარებით. გლობალური სავაჭრო ბრუნვა გაზრდილია 2022 წელსაც, პირველ 8 თვეში საქონლის ექსპორტი 36.9%-ით გაიზარდა, ხოლო საქონლის იმპორტის ზრდამ 36.5% შეადგინა.

) რეგიონული რისკები

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული რეგიონული რისკები ეხებოდა როგორც ეკონომიკური, ასევე - პოლიტიკური ხასიათის რისკებს და გამომწვევ მიზეზებად სახელდებოდა როგორც ნავთობსა და ნედლეულზე ქვეყნების დამოკიდებულება, ასევე - პოლიტიკურ პრობლემები და არამდგარობა. მიუხედავად 2021 წელს არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობისა, შეგვიძლია ვთქვათ რომ აღნიშნული რისკის რეალიზება არ მომხდარა.

2022 წელს რეგიონული რისკები რეალიზდა, რაც დაიწყო თებერვლის ბოლოს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით. რუსეთ-უკრაინის ომმა გავლენა უარყოფითი მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე. ამასთან, რუსეთის მიმართ დაწესდა სანქციები და გაიზარდა სურსათსა და ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო ფასები. როგორც 2022 წლის ბიუჯეტის კანონის თანდართულ სცენარების დოკუმენტში იყო აღნიშნული, რეგიონული რისკების გამომწვევი ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს როგორც გაყინული კონფლიქტები, ასევე - ქვეყნების დამოკიდებულება ნავთობსა და სხვა ნედლეულ პროდუქტებზე, რაც მიმდინარე წელს რეალიზდა. რეგიონში არსებული ომისა და გაზრდილი გაურკვევლობის გამო, მოსალოდნელია ინვესტორების განწყობის გაუარესება რეგიონის ქვეყნების და მათ შორის, საქართველოს მიმართ.

- გაზრდილი გლობალური ვალი

არ რეალიზდა აღნიშნული რისკი. პანდემიისა და თანმდევი ეკონომიკური ღონისძიებების შედეგად გაიზარდა მთავრობის ვალი და ბიუჯეტის დეფიციტი, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს ფისკალური კონსოლიდაცია, რამაც არ წარმოქმნა გაზრდილი გლობალური ვალიდან მომდინარე დამატებითი რისკები. ვალის შემცირება/დასტაბილურების აღნიშნული ტენდენცია გრძელდება 2022 წელსაც და არ არის მოსალოდნელი მისგან გამოწვეული დაბატებითი რისკების წარმოქმნა.

- გლობალური მომხმარებელთა ქცევა

არ რეალიზდა გლობალურად მომხმარებელთა სენტიმენტების შემცირებისა და მათი ქცევის ცვლილების რისკი. აღნიშნული რისკი გულისხმობდა მოხმარების შემცირებასა და დანაზოგების სასურველი დონის აღდგენაზე აქცენტის გაკეთებას. აღსანიშნავია, რომ გაზრდილია მოხმარების დონე, რაც ნაწილობრივ აისახება საქართველოდან ექსპორტის მაჩვენებელზე (გაიზარდა 2021 წელს როგორც 2020, ასევე - 2019 წელთან შედარებით). მომხმარებელთა სენტიმენტების შემცირების რისკი არ რეალიზდა ასევე 2022 წელს, რაც გამოიხატება სავაჭრო ბრუნვისა და მოხმარების ზრდით.

- მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრება

როგორც მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრების რისკის ანალიზში იყო ნავარაუდები, ნედლეულსა და ნავთობზე ფასების ზრდისა და პანდემიის შედეგად არსებული ფისკალური სტიმულების გამო გაიზარდა ინფლაციური წნეხი 2021 წლისთვის. შედეგად, მოსალოდნელი იყო შერბილებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლა, რაც რისკს წარმოადგენს საქართველოს გაცვლით კურსსა და ინფლაციაზე, მაღალი დოლარიზაციიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მოლოდინების რეალიზება სრულად არ მოხდა 2021 წელს, თუმცა აღნიშნული რისკი მატერიალიზდა 2022 წელს. მაგალითად, ინგლისის ბანკმა განაკვეთი გაზარდა როგორც 2021 წლის დეკემბერში (0.25 პ.პ-ით), ასევე 2022 წელს რამდენჯერმე და სექტემბრის ბოლოს საპროცენტო განაკვეთი 2.25%-ს შეადგენს. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი თავდაპირველად უცვლელ დონეზე დატოვა თუმცა ივლისში 0.5 პპ-ით, ხოლო სექტემებრში 0.75 პპ-თ გაზარდა და 2012 წლის შემდეგ პირველად გაუტოლდა 1.5%-ს. რაც შეეხება აშშ-ს, ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი რამდენჯერმე გაზარდა 2022 წელს, თავდაპირველად 0.25-დან 0.50 პროცენტამდე 2022 წლის მარტში, ხოლო ბოლოს სექტემბერში და სექტემბრის ბოლოს მდგომარეობით 3.25 პროცენტს შეადგენს .

3.2. პოლიტიკის პასუხების ანალიზი

ეკონომიკის სწრაფი აღდგენის ტენდენციამ გაზარდა საგადასახადო შემოსავლები და ბიუჯეტის რესურსი. გაზრდილი რესურსის ნაწილი მიმართულია კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარებისაკენ, ხოლო ნაწილი მოხმარდა ჯანდაცვისა და კაპიტალურ ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ კაპიტალური ხარჯების დაჩქარება მომავალშიც ხელს შეუწყობს აღდგენის პროცესის დაჩქარებას.

4. საშუალოვადიანი პერიოდის რისკები

პოსტპანდემიურ პერიოდსა და რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე არსებული გაურკვეველი მდგომარეობის გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რისკ-ფაქტორების ანალიზი. ამის მიზეზი ერთი მხრივ ისაა, რომ საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია რუსეთსა და უკრაინაზე როგორც სავაჭრო, ასევე - გზავნილებისა და ტურიზმის კუთხით. ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო ნავთობის ფასების ზრდიდან გამომდინარე ინფლაციაზე ზეწოლა ასევე საყურადღებო ფაქტორია და აღნიშნულ ფაქტორებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც პირდაპირი, ასევე - არაპირდაპირი გავლენა სხვადასხვა რისკების მატერიალიზაციის ალბათობაზე.

აღნიშნული რისკ-ფაქტორების ალბათობების ანალიზი საფუძვლად ედება ფინანსთა სამინისტროს ეკონომიკური პროგნოზირების მოდელის დაშვებებს, რის საფუძველზეც ხდება ალტერნატიული სცენარების შემუშავება.

4.1. პანდემიის გამწვავება

2021 წლის ბოლოს კოვიდ-19-ის ახალმა შტამმა საკმაოდ მკაცრი ეპიდემიოლოგიური სურათი მოგვცა, თუმცა 2022 წლის პირველი კვარტლიდან ვირუსის გავრცელებამ იკლო და შესაბამისად, მოიხსნა შეზღუდვებიც. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის მძლავრი ტალღის განვითარების რისკები შემცირებული იყო, შეზღუდვების გაუქმებამ და ვირუსის ახალი შტამების გავრცელებამ მსოფლიოს მასშტაბით გამოიწვია ინფიცირებულთა რიცხვის ზრდა. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სიტუაცია გამოიწვევს კონტროლის მექანიზმების ხელახალ ამუშავებას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სიფრთხილის ზომების მიღება, 2022 წლის შემოდგომაზე შესაძლებელია დაიწყოს პანდემიის ახალი ტალღა. ამისთვის უკვე არსებობს ისეთი წინაპირობები, როგორიცაა ახალი შტამების წარმოქმნა, ვაქცინაციის პროცესის შენელება და სოციალური დისტანცირების შეზღუდვების გაუქმება. პანდემიის კვლავ გამწვავების რისკი, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე.

4.2. ტურიზმის გლობალური სენტიმენტების გაუარესება

პანდემიის ერთ-ერთი მძიმე და გრძელვადიანი გავლენა გლობალურ ტურიზმზე მოდის. პანდემიის გარდა, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ წარმოქმნა საჰაერო სივრცის შეზღუდვები, რამაც გამოიწვია ტურიზმის შეფერხება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ტურიზმის სწრაფ გამოცოცხლებას აქვს ადგილი, ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ ადრეა ტურიზმის საშუალოვადიანი აღდგენის პერსპექტივებზე მოლოდინების განახლება.

მიუხედავად 2020 წელთან საკმაოდ მაღალი ზრდისა, 2019 წელთან შედარებით ტურიზმი კვლავ ნაკლები რჩება და ამ ეტაპისთვის შესაბამისია საბაზისო მოლოდინისა. 2022 წლის 8 თვის მონაცემებით ტურიზმი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით, თუმცა კვლავ ჩამორჩება 2019 წლის შესაბამის დონეს. არსებული გაუმჯობესების მიუხედავად საშუალოვადიან პერიოდში, კვლავ აქტუალურია ტურიზმის მიმართულებით შემდეგი რისკ-ფაქტორები:

- ტურიზმი გარკვეულწილად გლობალიზაციის თანმდევი პროცესია, და შესაძლო დეგლობალიზაციური ტენდენციები აისახება გლობალურ ტურისტულ სენტიმენტებზე;
- არსებობს რისკი, რომ რუსეთში გამოცხადებული მობილიზაციის ფონზე მოხდეს რუსეთის მხრიდან საზღვრებზე გადაადგილების მნიშვნელოვანი შეზღუდვა.

4.3. გლობალური სავაჭრო ბრუნვის შემცირება

მიმდინარე კრიზისის ფონზე მნიშვნელოვანია გლობალური გეოპოლიტიკური რისკების გაანალიზება. მოსალოდნელია, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა, მზარდი ინფლაცია და მზარდი საპროცენტო განაკვეთები მსოფლიოში, ეკონომიკის აღდგენის პროცესებს საკმაოდ შეაფერხებს. უარყოფითი გავლენა ყველაზე მძიმე იქნება ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის, სადაც მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის შემცირება. გამომდინარე იქედან, რომ რუსეთი და უკრაინა სოფლის მეურნეობის საქონლის ძირითადი ექსპორტიორები არიან, მოსალოდნელია სურსათზე გლობალური ფასების ზრდა, რასაც ომის ფონზე ტრანსპორტირების შეფერხებებაც განაპირობებს. სავაჭრო პირობების გაუარესება და სურსათის პროდუქტების იმპორტის გაძვირება ზრდის სოციალური დაუცველობის რისკებს და გადაავადებს ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივებს.

4.4. რეგიონული რისკები

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენი რეგიონი არ არის მოკლებული შოკებს. პანდემიამდელ პერიოდში ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის რისკები ეტაპობრივად მძიმდებოდა რეგიონში და მათი მატერიალიზაცია პანდემიის გარეშეც იყო მოსალოდნელი. თუმცა, პანდემიის შესუსტების ფონზე რეგიონული რისკების რეალიზაციის ალბათობა უფრო გაიზარდა. მიმდინარე წელს რუსეთის სრულმაშტაბიანი ომის წამოწყებამ უკრაინის წინააღმდეგ კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება მოწყვლადი ეკონომიკებისთვის, რაც უფრო ზრდის ჯერ კიდევ არარეალიზებული რისკების ალბათობას. ამასთან, რუსეთის მიმართ დაწესებული სხვადასხვა ტიპის სანქციები, რუსეთის გავლენით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთთან ეკონომიკურად დაკავშირებულ რეგიონის სხვადასხვა ქვეყნებზე. გავლენა განსაკუთრებით აღასანიშნავია ჩვენი რეგიონის ქვეყნებისათვის, რომელთა ეკნომიკური მდგომარეობის გაურასებაც შესაძლოა დამატებითი რისკ ფაქტორი აღმოჩნდეს საქართველოს ეკონომიკისათვის.

საშუალოვადიანი პერიოდისთვის, ჩვენი რეგიონიდან მომდინარე ეკონომიკური რისკები ძირითადად შემდეგი გარემოებებით არის განპირობებული:

1) მთელი რიგი ქვეყნების მაღალი დამოკიდებულობა ნავთობსა და სხვა ნედლეულ პროდუქტებზე;
2) მნიშვნელოვანი სასურსათო ნედლეულის დეფიციტი;
3) ეკონომიკების დივერსიფიკაციის დაბალი დონე;
4) შიდა პოლიტიკური პრობლემები და არამდგრადობა;
5) სანქციებით გამოწვეული გრძელვადიანი უარყოფითი ეფექტები;
6) გაყინული კონფლიქტები.

რეგიონიდან მომავალი რისკები კვლავაც იქნება ჩვენი ეკონომიკის მთავარი პრობლემა და ეკონომიკის მოწყვლადობის კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური სირთულეების შესამცირებლად.

4.5. ინფლაციის შედეგად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა

რუსეთ-უკრაინის ომისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შედეგად ნავთობისა და სურსათის ფასები რეკორდულ მაჩვენებლამდე გაიზარდა, რასაც თან ერთვის მიწოდების ჯაჭვის შეფერხება, ვინაიდან რუსეთი და უკრაინა სასოფლო-სამეურნეო საქონლის ძირითადი მიმწოდებლები არიან და კონფლიქტმა

პირდაპირ შეაფერხა ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის, მარცვლეულის და საკვების მიწოდება. ენერგომატარებლებზე და საკვებ პროდუქტებზე მზარდი ფასებით. მიწოდების ჯაჭვების შეფერხების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება გლობალური ინფლაცია. უკრაიანში მიმდინარე კონფლიქტის ფონზე მოსალოდნელია ინფლაციური ზეწოლის შენარჩუნება საშუალოვადიან პერიოდშიც. აშშ-ში ინფლაციამ რამდენიმე ათწლეულის მაქსიმუმს მიაღწია ბოლო თვეებში, რამაც აიძულა ფედერალური სარეზერვო სისტემა, გაეზარდა საპროცენტო განაკვეთები და დაიწყო გლობალური მონეტარული გამკაცრების ციკლი. გაზრდილი ინფლაციის საპასუხოდ უპროცედენტო გამკაცრებას აქვს ასევე ადგილი ევროპოს ცენტრალური ბანკის მხრიდანაც. ინფლაცია ასევე მკვეთრად იზრდება განვითარებად ქვეყნებში, სადაც ინფლაცია ზოგადად უფრო მაღალი და არასტაბილურია.

უფრო მეტიც, ფედერალური სარეზერვო ბანკის და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ მოსალოდნელზე უფრო სწრაფად მონეტარული გამკაცრებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა სხვა ქვეყნებზე, მაგალითად გლობალური დაფინანსების პირობების გაუარესებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კაპიტალის გადინება და ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება განვითარებად ქვეყნებში, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს ინფლაციას.

სიტუაცია უფრო რთულდება განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან მაგალითდ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ საპროცენტო განაკვეთების ზრდა გამოიწვევს (შესაბამისად, აშშ-ის ობლიგაციები უფრო მეტად შემოსავლიანი გახდება) განვითარებადი ბაზრებიდან ინვესტორების მიერ თანხების გადინებას. ამას თან ერთვის რეგიონში მიმდინარე ომი, რამაც შესაძლოა ინვესტორები მეტად ფრთხილები გახადონ რეგიონში ინვესტიციების განხორციელებისგან. აღნიშნულის შედეგად მოსალოდნელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების რისკი საშუალოვადიან პერიოდში.

4.6. მსოფლიოში მოსალოდნელი რეცესია

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია როგორც პანდემიიდან მომდინარე შედეგებთან, ასევე - რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრასთან და რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებთან, ნაკლებად არის მოსალოდნელი მსოფლიო ეკონომიკის გაუმჯობესება საშუალოვადიან პერიოდში. უკრაინაში არსებული ომისა და რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების კვალდაკვალ საფრთხე ექმნება მსოფლიო ვაჭრობისა და ქვეყნების თანამშრომლობის გაუმჯობესებას, რასაც ემატება საკვებსა და ენერგოპროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა. აღნიშნულმა კი შესაძლოა გამოიწვიოს სოციალური პრობლემები მსოფლიოში. ამასთან, მოსალოდნელია ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთის ზრდა ინფლაციის შესაჩერებლად, რაც კიდევ უფრო შეაფერხებს ეკონომიკურ აქტივობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წელს მოსალოდნელია განვითარებულ ქვეყნებში ადგილი ჰქონდეს ეკონომიკური ზრდის მკვეთრ შემცირებას ან რიგ ქვეყნებში რეცესიას.

5. სცენარები საშუალოვადიან პერიოდში

წარმოდგენილია ეკონომიკური პროგნოზების სამი სცენარი - საბაზისო, პოზიტიური და ნეგატიური. აღნიშნული სცენარები ეფუძნება მეოთხე თავში იდენტიფიცირებული რისკების გავლენის ხარისხს და მათი მატერიალიზაციის განსხვავებულ ალბათობებს.

პროგნოზის სცენარების შემუშავებისას დაიანგარიშება თითოეულ სცენარში რისკების მატერიალიზაციის გავლენა ეგზოგენურ ცვლადებზე, ხოლო შემდეგ ეგზოგენური ცვლადების საფუძველზე კეთდება პროგნოზები. ეგზოგენურია საგარეო სექტორის მონაცემები და აგრეთვე მაკროეკონომიკური პოლიტიკით განსაზღვრული ცვლადები, აღნიშნული ეგზოგენური ცვლადების შესახებ კი კეთდება დაშვებები, რის შედეგადაც ხდება პროგნოზების შემუშავება, დაშვებების გავლენის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ საბაზისო სცენარი გულისხმობს რისკების ზომიერად მატერიალიზაციას, ოპტიმისტურ სცენარში აღნიშნული რისკების მატერიალიზაციას არ ველით, ხოლო პესიმისტურ სცენარში გათვალისწინებულია რისკების მატერიალიზაცია მაღალი ალბათობით.

5.1. საბაზისო სცენარი

საბაზისო სცენარში 2022 წლის ეკონომიკური ზრდა 8.5%-ია მოსალოდნელი. 2023 წლიდან ეკონომიკა გააგძელებს საშუალოდ 5.1%-იან ზრდას, 2023-2026 წლებში. ამ სცენარით, 2026 წლისათვის ნულოვან სცენართან (პანდემიის არარსებობის შემთხვევაში) შედარებით გადაჭარბება იქნება 0.1%. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდისათვის ეკონომიკა შეძლებს პანდემიამდელ ეკონომიკური დონეზე სრულად დაბრუნებას. ჯამურად დანაკარგის მოცულობა 2020-2025 წლებში შეადგენს აღნიშნული პერიოდის საშუალო მშპ-ს დაახლოებით 2.8%-ს. დანაკარგი ნეგატიურად მოქმედებს ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაზე, რადგან მცირდება კერძო სექტორის საინვესტიციო პოტენციალი და ასევე სახელმწიფო კაპიტალური ხარჯების რესურსი.

რაც შეეხება ინფლაციას, იგი 2022 წელს 11.5%-ის დონეზეა მოსალოდნელი. ეს მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია მიწოდების შოკით, რაც როგორც გლობალურად მიმდინარე სხვადასხვა მოვლენების გამო წარმოების გაზრდილ ხარჯებსა და გაზრდილ იმპორტირებულ ინფლაციას გულისხმობს. საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ გაძლიერდება გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის გავლენა ფასებზე შემცირების მიმართულებით და შემცირდება საგარეო შოკების წნეხიც, რაც ინფლაციის დასტაბილურებას გამოიწვევს. 2024 წლიდან ინფლაციის პროგნოზი მიზნობრივი მაჩვენებლის ტოლია.

2020 წელს რეგიონში განვითარებული გეოპოლიტიკური რისკების ფონზე, აგრეთვე გაუარესებული ფისკალური პოზიციისა და შემცირებული შემოსავლების ფონზე მნიშვნელოვანი დარტყმა მიიღო კერძო ინვესტიციებმა, რაც 2021 წელსაც გაგრძელდა და საშუალოდ შეადგინა მშპ-ს 14.3%. თუმცა, 2022 წელს მოსალოდნელია მისი გაუმჯობესება და მშპ-ს 16.8%-ის დონეზე მიღწევა. მომდევნო წელს ინვესტიციები აღდგენას განაგრძობს და მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში დაუბრუნდება 2019 წლის მაჩვენებელს, მშპ-სთან მიმართებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2019-2021 წლებში მიღებული დანაკლისი ამცირებს ზრდის პოტენციალს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შემცირებული ინვესტიციები, ერთი მხრივ, ამცირებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, რაც საგარეო მოწყვლადობისათვის პოზიტიურ ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, მეორე მხრივ, ზრდის პოტენციალის შემცირება ხელს უშლის მაკროეკონომიკური სტაბილურობის აღდგენას. შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში ინვესტიციების მხარდაჭერა სახელმწიფო კაპიტალური ხარჯებით მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად. 2022 წლისთვის კაპიტალური ხარჯები მშპ-ს 8.0%-ზეა მოსალოდნელი, ხოლო საშუალოვადიანი პერიოდისთვის კი იგი 7%-ის ფარგლებში დაფიქსირდება.

საბაზისო სცენარის მიხედვით, 2022 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან უდრის 6.9%-ს, რაც 3.2 პ.პ-თ ნაკლებია 2021 წლის მნიშვნელობაზე და 5.6 პ.პ-თ ჩამორჩება 2020 წლის მნიშვნელობას. მომდევნო წლებში მოსალოდნელია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კლება გაგრძელდება და 2026 წლისთვის ჩამოვა მშპ-ს 4.1%-მდე.

2022 წლის პირველ ნახევარში, მიუხედავად ზრდის ტენდენციისა ტურიზმი კვლავ ჩამოუვარდება 2019 წლის მაჩვენებელს და მის 87%-ს შეადგენს. საბაზისო სცენარის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია ტურიზმის სრულად აღდგენა 2019 წლის დონეზე და მისი შემდგომი გაუმჯობესება. 2022 წელს ექსპორტიც განაგრძობს აღდგენას და დოლარში გამოსახული საქონლის ექსპორტის ზრდა მოსალოდნელია რომ 27.7%-ით, ხოლო 2023 წლიდან საშუალოდ 10.0%-ით გაიზრდება.



დიაგრამა 6: პროგნოზი საბაზისო სცენარის მიხედვით

5.2. ნეგატიური სცენარი

ნეგატიური სცენარი გულისხმობს რისკების მაღალი მასშტაბით/ალბათობით რეალიზებას. ნეგატიური სცენარი ითვალისწინებს საბაზისოსთან შედარებით ერთბლივი მოთხოვნის უფრო დაგვიანებული აღდგენის პროცესებს და აგრეთვე მეოთხე თავში განხილული რისკების უფრო მეტი სიმძლავრით მატერიალიზაციას. ამასთან, ტურიზმზე მოთხოვნა სუსტი დარჩება მომდევნო წლებშიც. 2022 წელს ეკონომიკური ზრდა 8.0%-ის დონეზეა პროგნოზირებული, ხოლო 2023 წელს - 3.0%-ზე. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, 2023-2026 წლებში ეკონომიკა საშუალოდ მხოლოდ 3.7%-ით იზრდება. ეკონომიკური ზრდის განგრძობადი შემცირება უკაშირდება რეგიონში არსებულ მდგომარეობას, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაურკვეველ პროგნოზებს ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

აღნიშნული სცენარი ითვალისწინებს ომის უფრო მძიმე შედეგებს საქართველოს ეკონომიკაზე და ეყრდნობა დაშვებას, რომ მაღალი ინფლაციური მდგომარეობის გამო 2022 წელსაც საჭირო გახდება მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება და კიდევ უფრო გამკაცრება.

დიაგრამა 7: ეკონომიკური ზრდა ნეგატიურ სცენარში



5.3. პოზიტიური სცენარი

პოზიტიური სცენარის მიხედვით, მეოთხე თავში აღნიშნული გეოპოლიტიკური და რეგიონალური რისკები დამატებით არ მატერიალიზდება. ამასთან, გაგრძელდება გაუმჯობესებული ეკონომიკური აქტივობა და ტურიზმი გააგრძელებს 2019 წლის დონესთან დაახლოებას. ასეთ სცენარში, 2022 წლის ეკონომიკური ზრდა 9.8%-ს შეადგენს, ხოლო 2023 წელს 6.5%-იანი ზრდა დაფიქსირდება. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, 2023-2026 წლებში ზრდა საშუალოდ 5.6%-ს შეადგენს.

ოპტიმისტური სცენარის მიხედვით, მიმდინარე ომის შედეგები საქართველოზე ნაკლებად აისახება, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში ნავთობზე გაზრდილი ფასების გამო ინფლაცია კვლავ მიზნობრივ დონეზე მაღლა შენარჩუნდება. ამასთან, გაუმჯობესებულია საგადასახადო შემოსავლები.

დიაგრამა 8: ეკონომიკური ზრდა პოზიტიურ სცენარში



5.4. ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივები სცენარების მიხედვით

საბაზისო სცენარში ეკონომიკა 2026 წლისათვის ახერხებს 2020 წლის დანაკარგის თითქმის სრულად აღდგენას. ამ პერიოდში ნულოვან[1] სცენარს საბაზისო სცეანრი ეკონომიკა 0.1%-ით აჭარბებს. უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიურ სცენარში ეკონომიკა 3.1%-ით აჭარბებს ნულოვან სცენარს, ხოლო ნეგატიურ სცენარში ჩამორჩენა 5.4%-მდე იზრდება.

საშუალვადიან პერიოდში აღნიშნული ჩამორჩენის მთავარი მიზეზებია:

- გაუარესებული ბალანსშიტი;
- ტურიზმის გლობალური სენტიმენტები;
- მომხმარებელთა შემცირებული სენტიმენტი;
- ეკონომიკის დივერსიფიცირების დაბალი ხარისხი;
- გეოპოლიტიკური ვითარება და სავაჭრო ბრუნვის შემცირება;
- გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა.

დიაგრამა 9: რეალური მშპ-ს ინდექსი

[1] ნულოვანი სცენარი წარმოადგენს 2019 წლის შემდეგ, პანდემიის არ არსებობის პერიოდში ეკონომიკის საშუალოდ 4.5%-იან რეალურ ზრდას.


57,000
55,000
53,000
51,000
49,000
47,000
45,000
43,000
41,000
39,000
37,000
2019
2020
2021
2022
2023
2024
2025
2026
3.1%
0.1%
-5.4%
წულოვანი
საბაზო
წეგატიური
პოზიტიური